



საქართველოს
სახალხო დამცველი

საქართველოს სახალხო დამცველის საინფორმაციო ბიულეტენი

№ 1

პერიოდული გამოცემა
2016 წ. იანვარი



გამოცემულია ევროკავშირის პროექტის
„საქართველოს სახალხო დამცველის
აპარატის ხელშეწყობა“ მხარდაჭერით

1. სახალხო დამცველის მისალმება



საქართველოს სახალხო დამცველი
ურა ნანუაშვილი

დაინყო ახალი – 2016 წელი, ახალი იმედების, ახალი გეგმებისა და გამოწვევების წელიწადი. დღეს, ამ მისალმების წერისას, თვალი გადავაკვლიე სახალხო დამცველის აპარატის გასული წლის საქმიანობას და შევეცადე, განსაკუთრებით საინტერესო და მნიშვნელოვანი მომენტები შემეჩინა იმ უამრავ საქმეთა შორის, რაც ჩვენმა გუნდმა განახორციელა. მართალია, რამდენიმეს ცალკე გამოყოფა ძნელი აღმოჩნდა, მაგრამ ვფიქრობ, რომ ადამიანის უფლებათა აკადემიის გახსნა და ცხელი ხაზის ამოქმედება განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს. მნიშვნელოვან მოვლენათა შორის შემიძლია გამოყოფა ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული ინსტიტუტების ევროპული ქსელის გენერალურ ასამბლეაზე საქართველოს სახალხო დამცველის ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების საერთაშორისო საკოორდინაციო კომიტეტის ბიუროს სრულუფლებიან წევრად არჩევა; ასევე, პატიმრობის კოდექსში განხორციელებული ცვლილება, რომლის თანახმად,

საქართველოს სახალხო დამცველს პენიტენციურ დაწესებულებებში ფოტოგადაღების უფლება მიეცა.

გასულ წელს საფუძველი ჩაეყარა ახალ ინიციატივას – რეგულარული სამუშაო შეხვედრები დიპლომატიური კორპუსისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან მრგვალი მაგიდის ფორმატში. შეხვედრებზე უფლებათა სფეროში მიმდინარე აქტუალურ და პრიორიტეტულ საკითხებს განვიხილავთ.

მინდა ცალკე გამოვყო სახალხო დამცველის საერთაშორისო მრჩეველთა საბჭოს სტუმრობა,

შინაინი:

- | | |
|---|---|
| 1. სახალხო დამცველის მისალმება | 1 |
| 2. სახალხო დამცველის რეკომენდაციები და წინადადებაები სახალხო დამცველის ხელისუფლებისა და აღმოსავლეთში თვითმმართველობის ორგანიზაციებს | 3 |
| 3. სახალხო დამცველისა და მისი აპარატის საქმიანობა | 4 |
| სახალხო დამცველის განხილვები საქართველოში მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ | 4 |
| სხვადასხვა | 4 |
| აპარატის ცალკეული სამსახურების მიერ ჩატარებული შეხვედრები | 7 |
| 4. წარმატებული საქმეები | 7 |
| 5. ღირსშესანიშნავი თარიღები | 8 |
| 6. საერთაშორისო სიხალხეები ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით | 8 |
| 7. სახალხო დამცველის აპარატის ახვები | 9 |

ვინაიდან, მათთან თანამშრომლობითა და მათი რჩევების საფუძველზე, არაერთი კვლევა ჩავატარეთ, მოვამზადეთ ანგარიში და გავალრმავეთ ურთიერთობა ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

როგორც „A სტატუსის“ მქონე ადამიანის უფლებათა ეროვნულმა ინსტიტუტმა, გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის (UPR) სამუშაო ჯგუფის 23-ე სესიისთვის, წერილობითი მოსაზრება წარვადგინე, სადაც პენიტენციურ სისტემაში ადამიანის უფლებათა მდგომარეობა, სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა მიერ შესაძლო უფლება-დარღვევები, ეკონომიკური და სოციალური უფლებები, გენდერული თანასწორობა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები მიმოვიხილე.

2015 წელს, ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით, ქვეყანაში მიმდინარე საყურადღებო მოვლენათა შორის აღსანიშნავი იყო არასრულწლოვანთა ქორწინების წესის საკანონმდებლო ცვლილება, რომელსაც ჩემ მიერ წარდგენილი საკანონმდებლო წინადადება ედო საფუძველად; აქვე აღვნიშნავდი- გაეროს გენერალური ასამბლეის პლენარულ სხდომაზე საქართველოს გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს წევრად არჩევასაც.

რა თქმა უნდა, ამ მოკლე მისალმებაში ჩვენი საქმიანობის უმცირესი ნაწილიც ვერ მოხვდა: არ მისაუბრია ათეულობით გაგზავნილ რეკომენდაციასა და წინადადებაზე, ხელისუფლების, დიპლომატიური კორპუსის, საერთაშორისო და ეროვნული არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან გამართულ შეხვედრებზე, ქვეყანაში ადამიანის უფლებათა კუთხით სამოქალაქო განათლების დონის ამაღლებისათვის მიმდინარე საინფორმაციო სემინარებსა და ტრენინგებზე. არაფერი მითქვამს წლიური საპარლამენტო ანგარიშისა თუ სპეციალური ანგარიშების მომზადებასა და მასალების მოპოვება-დამუშავების პრომატივად საქმიანობაზე. ჩვენ აქტიურად ვართ ჩართული ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით მიმდინარე მოვლენებში, თვალყურს ვადევნებთ პროცესების მიმდინარეობას და ინტენსიურად ვმუშაობთ სახელმწიფო, თუ საერთაშორისო სტრუქტურებთან, საკანონმდებლო ბაზის დახვეწისა და საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაციის მიზნით. იმედი მაქვს, ჩვენი ყოველთვიური ბიულეტენის მკითხველი კარგად არის ინფორმირებული ამ მიმართულებებით ჩვენი განგრძობითი საქმიანობის შესახებ.

მინდა დაგარწმუნოთ, რომ 2016 წელსაც, ჩემ გუნდთან ერთად, დაუღალავად და შეუპოვრად ვიმუშავებთ, რათა ჩვენ ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვის სტანდარტები ამაღლდეს, საქართველომ ღირსეული ადგილი დაიკავოს დემოკრატიული, ადამიანის უფლებებისა და ღირსების

დაცვაზე ორიენტირებული, სტიგმისგან, შეუწყნარებლობისა და დისკრიმინაციისაგან თავისუფალი სახელმწიფოების გვერდით.

დასასრულს, მოკლედ მინდა იმ მნიშვნელოვან მოვლენებზე ვისაუბრო, რომელიც იანვრის თვეში განვითარდა. პირველ რიგში, აღვნიშნავ საკანონმდებლო **ინიციატივას საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების გაფართოებასთან დაკავშირებით**. საქართველოს პარლამენტსა და სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიას კანონპროექტი წარვუდგინე, რომლის მიხედვით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება უნდა გასცდეს ნორმათა კონტროლის მოდელს და რეალური სარჩელის საფუძველზე, კონსტიტუციური კონტროლი განახორციელოს. ასევე, მართებულად მიმაჩნია, გამონაკლისის სახით, კანონის ამოქმედებიდან ერთი წლის განმავლობაში, დაშვებულ იქნას 1995 წლის 24 აგვისტოს შემდეგ, საერთო სასამართლოების კანონიერ ძალაში შესული და გასაჩივრების ვადაგასული გადაწყვეტილებების საკონსტიტუციო სასამართლოში გასაჩივრება. აღნიშნული მექანიზმის შემოღება შესაძლებელს გახდის, გამოვლინდეს და გამოსწორდეს მართლმსაჯულების ხარვეზების მიზეზით დარღვეული საქართველოს კონსტიტუციის ფუნდამენტური მოთხოვნები.

არსებულ პრობლემათა შორის წლებია მწვავედ დგას და წლებია, ჩვენი მკაცრი კრიტიკის საგანს წარმოადგენს არასრულწლოვანთა საკითხების გაშუქების ეთიკური და სამართლებრივი ნორმები ქართულ მედია სივრცეში. ქვემოთ, ამ თემასთან დაკავშირებით, შეგიძლიათ ჩემი მკაცრი განცხადებაც იხილოთ.

ასევე, აქვე გაცნობთ ინფორმაციას „მე ომბუდსმენის“ გამარჯვებულთა დაჯილდოების შესახებ. ევროკავშირის დახმარებით, უკვე ექვსი წელია ამ კონკურსს ვატარებთ და ახალგაზრდა თაობას ადამიანის უფლებათა დაცვის ანბანის შესწავლის მოტივაციას ვაძლევთ.

იანვარში ჩვენი ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი მოვლენა მოხდა – სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლომ პროკურორ ფატუ ბენსუდას საქართველოში 2008 წლის აგვისტოს მოვლენების დროს ჩადენილი სამხედრო დანაშაულების გამოძიების დაწყებაზე თანხმობა მისცა. რა თქმა უნდა, მსგავსი საკითხი ჩვენი ყურადღების მიღმა ვერ დარჩებოდა და იგი საინფორმაციო ბიულეტენის საერთაშორისო სიახლეების თავშია მოყვანილი.

უფრო დეტალურად და უფრო ფართოდ იანვარში მიმდინარე მოვლენების შესახებ, შეგიძლიათ, საინფორმაციო ბიულეტენში იხილოთ, რომელიც უკვე 2 წელია გამოდის და მისი მიზანია, მკითხ-

ველს გარკვეული წარმოდგენა შეუქმნას ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობისა და ზოგადად საქართველოში არსებული მდგომარეობის შესახებ.

2. სახალხო დამცველის რეკომენდაციები და წინადადებები სახალხო მინისტრის უფლებებისა და აღზიდვის თვითმართვით მართვის ორბანობს

2.1. წინადადება საქართველოს პარლამენტს

15 იანვარს სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს პარლამენტს, განხორციელოს შესაბამისი ცვლილებები ხმაურის საკანონმდებლო დონეზე, საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი ფორმით დასარეგულირებლად და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შესაბამისი პასუხისმგებლობის ზომების გასათვალისწინებლად.

ჯანმრთელობის ფუძემდებელი პირობების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია ჯანსაღი გარემოს არსებობა. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის დოკუმენტები და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა მიუთითებს ხმაურის რეგულირების საკითხის მჭიდრო კავშირზე ჯანმრთელობის დაცვის, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში ცხოვრებისა და პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებებთან.

საქართველოს სახალხო დამცველი იმედს გამოთქვამს, რომ საქართველოს პარლამენტი გაითვალისწინებს მის წინადადებას და ეფექტურ ნაბიჯებს გადადგამს ხმაურის რეგულირების უზრუნველსაყოფად.

2.2. რეკომენდაცია საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პროზასიის მინისტრს

15 იანვარს საქართველოს სახალხო დამცველმა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N17 დაწესებულების სამორიგოს უფროსი ინსპექტორის ბ.დ.-ს დარღვეული შრომითი უფლების აღსადგენად საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პროზაციის მინისტრს რეკომენდაციით მიმართა.

წარმოდგენილ განცხადებაში ბ.დ. აღნიშნავდა, რომ იგი დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლდა პირადი განცხადების საფუძველზე, სა-

კუთარი ნების საწინააღმდეგოდ, რომელიც სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N17 დაწესებულების მაშინდელი დირექტორის ზენოლის შედეგად დაწერა.

სახალხო დამცველმა საქართველოს მთავარ პროკურატურას წინადადებით მიმართა, დაეწყოს გამოძიება ბ.დ.-ს მიმართ განხორციელებულ შესაძლო დანაშაულებრივ ფაქტთან დაკავშირებით. სამწუხაროდ, საქართველოს მთავარმა პროკურატურამ არ გაითვალისწინა საქართველოს სახალხო დამცველის წინადადება და არ დაიწყო გამოძიება.

საქართველოს სახალხო დამცველმა მოითხოვა, ბ.დ.-ს დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების ბრძანების ბათილად ცნობასთან ერთად, მინისტრმა ან ამ საკითხისთვის სპეციალურად შექმნილმა კომისიამ შეისწავლოს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პროზაციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N17 დაწესებულების ყოფილი დირექტორის მხრიდან, ბ.დ.-ზე სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ პატიკის დაწერის იძულების საკითხი.

2.3. რეკომენდაცია საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს

15 იანვარს საქართველოს სახალხო დამცველმა ყოფილი პატრულ-ინსპექტორის ვ.წ.-ს მიმართ განხორციელებული ქმედებების კანონიერების საკითხის შესწავლის რეკომენდაციით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს.

წარმოდგენილ განცხადებებში ვ.წ. აღნიშნავდა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ არასათანადოდ და მიკერძოებულად გამოიკვლია პატრულ-ინსპექტორსა და მის ოცმეთაურსმორის მომხდარი ინციდენტი, რის საფუძველზეც იგი უკანონოდ გაათავისუფლეს დაკავებული თანამდებობიდან. გათავისუფლების შემდეგ ვ.წ.-მ გენერალური ინსპექციის მუშაობისადმი მშვიდობიანი ფორმით გამოხატა პროტესტი, რა დროსაც სამართალდამცავებმა იგი ადმინისტრაციული წესით დააკავეს, თუმცა, ვინაიდან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი არ დადასტურდა, სასამართლომ საქმის წარმოება შეწყვიტა.

საკითხის შესწავლის შედეგად, საქართველოს სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ საქმის წარმოება ხარვეზებით ჩაატარა და რომ ბრძანება არ იყო სათანადოდ დასაბუთებული. ამავდროულად, დადგინდა, რომ დარღვეულია ვ.წ.-ს უფლება შრომის სამართლიან ანაზღაურებასთან დაკავშირებით. სამართალდამცავების მხრიდან, ყოფილი პატრულ-ინსპექტორის ადმინისტრაციული წესით დაკავებით კი, დაირღვა მისი თავისუფლების ხელშეუვალობა.

2.4. რეკომენდაცია იუსტიციის უმაღლეს საბჭოს

20 იანვარს საქართველოს სახალხო დამცველმა თბილისის საქალაქო სასამართლოში სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეთა გაჭიანურების გარეშე განხილვის უზრუნველყოფის საკითხთან დაკავშირებით, რეკომენდაციით მიმართა იუსტიციის უმაღლეს საბჭოს.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში შესწავლილი საქმეები ადასტურებს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციული და სამოქალაქო დავების განხილვა ვადების დარღვევით მიმდინარეობს, რაც მეტწილად გამოწვეულია მოსამართლეთა სიმცირით.

სასამართლოებში არსებული პრაქტიკა საქმის ვადების დარღვევით განხილვასთან დაკავშირებით, შესაბამისი პირების სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევას წარმოადგენს.

3. სახალხო დამცველისა და მისი აპარატის საქმიანობა

სახალხო დამცველის განსხვავებული საქართველოში მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ

3.1. განსხვავება არასრულწლოვანთა თვითმკვლელობის ფაქტებთან დაკავშირებით

საქართველოს სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა შეშფოთება გამოთქვა **9 იანვარს**, ბორჯომში, 17 წლის არასრულწლოვანის თვითმკვლელობის გამო და გარდაცვლილის ოჯახს მიუსამძიმრა.

სახალხო დამცველი მოუწოდებს საქართველოს მთავრობას, განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილოს ბავშვთა თვითმკვლელობის გამომწვევი მიზეზების შესწავლაზე და გაატაროს პრევენციული ღონისძიებები აღნიშნულის აღმოსაფხვრელად – დაიწყოს მუშაობა არასრულწლოვნებში სუიციდის პრევენციის პოლიტიკის შესამუშავებლად და უზრუნველყოს ამ პროცესში ექსპერტების, სპეციალისტებისა თუ დაინტერესებული მხარეების ჩართულობა. ასევე, მოუწოდებს შინაგან საქმეთა სამინისტროს, არასრულწლოვანთა თვითმკვლელობის ფაქტებთან დაკავშირებით, განახორციელოს სწრაფი და ეფექტიანი გამოძიება.

3.2. განსხვავება „ტაბულას“ ჟურნალისტებზე თავდასხმასთან დაკავშირებით

12 იანვარს, ღამით ტელეკომპანია „ტაბულას“ ჟურნალისტებს რესტორანში სამი პირი დაესხა თავს, მიაყენეს ფიზიკური და სიტყვიერი შეურა-

ცხყოფა, დაამტვრიეს ინვენტარი და მიიმალნენ. ჟურნალისტების განმარტებით, თავდამსხმელები ამის მიზეზად მათ პროფესიულ საქმიანობას და მათი მხრიდან, მართლმადიდებლური ეკლესიის კრიტიკას ასახელებდნენ.

სახალხო დამცველი გმობს ყველანაირ ძალადობას, განსაკუთრებით ძალადობას ჟურნალისტების მიმართ, მათი პროფესიული საქმიანობიდან გამომდინარე. განუზომელია გამოხატვის თავისუფლებისა და თავისუფალი მედიის როლი ინკლუზიური, ინფორმირებული საზოგადოებებისა და დემოკრატიის მშენებლობაში, ჯეროვანი მმართველობის დამკვიდრებაში. აუცილებელია, ზემოაღნიშნულ ფაქტზე ჩატარდეს დროული და ეფექტური გამოძიება, ხოლო დამნაშავე პირები ადეკვატურად დაისაჯონ. გამოძიების მიმდინარეობისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს სიძულვილის მოტივის სათანადოდ შეფასებაზე.

3.3. განსხვავება არასრულწლოვანთა თვითმკვლელობის საკითხის მართლმართლებრივი სტანდარტების შესახებ

26 იანვარს საქართველოს სახალხო დამცველმა შეშფოთება გამოთქვა სამაუნწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ს გადაცემა „პროფილის“ ტელე-ანონსში ბავშვთა თვითმკვლელობის შემთხვევებისა და თვითმკვლელობის რისკის მქონე არასრულწლოვანთა საკითხების გაშუქებასთან დაკავშირებით და მოუწოდა მედია საშუალებებს, ბავშვთა თვითმკვლელობის შემთხვევებისა და თვითმკვლელობის რისკის მქონე არასრულწლოვანთა საკითხების გაშუქებისას, მაქსიმალურად დაიცვან შესაბამისი ეთიკური და სამართლებრივი სტანდარტები, ბავშვის საუკეთესო ინტერესების პრინციპის აუცილებელი გათვალისწინებით.

აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ თვითმკვლელობის შემთხვევების მედიაში გაშუქება ძლიერ ზემოქმედებას ახდენს თვითმკვლელობის რისკის მქონე ბავშვთა ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე. უფრო მეტიც, თვითმკვლელობის შემთხვევების არაეთიკურმა გაშუქებამ, შესაძლოა, ე.წ. გადამდები ეფექტი იქონიოს არასრულწლოვნებში.

სხვადასხვა

3.4. ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს სამუშაო შეხვედრა

18 იანვარს საქართველოს სახალხო დამცველთან არსებულმა ეროვნულ უმცირესობათა საბჭომ სახალხო დამცველის პირველ მოადგილესთან პაატა ბელთაძესთან სამუშაო შეხვედრა გამართა და საბჭოს მუშაობის სამომავლო გეგმები განიხილა.

ასევე, აირჩიეს „შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციის და სამოქმედო გეგმის“ შესრულების მონიტორინგის ჯგუფის წევრები, რომლებიც დამოუკიდებელ ექსპერტებთან ერთად იმუშავებენ.



ყოველწლიური მონიტორინგისას გამოვლენილი ხარვეზებისა და მიღწევების საფუძველზე, საბჭო შეიმუშავებს რეკომენდაციებს და მუშაობს მათ ადვოკატირებაზე.

3.5. რელიგიათა საბჭოს სამუშაო შეხვედრა

20 იანვარს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა საბჭოს სამუშაო შეხვედრა სახალხო დამცველის მოადგილეებთან: პაატა ბელთაძესთან და ნათია კაციტაძესთან.



შეხვედრაზე ისაუბრეს სახალხო დამცველის საპარლამენტო მოხსენების რელიგიის თავისუფლების ნაწილში შესატან ძირითად საკითხებზე; სახელმწიფო უწყებებისადმი შემუშავებულ რეკომენდაციებსა და მათი ადვოკატირების მნიშვნელობაზე; განიხილეს და იმსჯელეს საბჭოსა და სახალხო დამცველს შორის არსებული თანამშრომლობის მარეგულირებელი დებულების განახლების საკითხებზე.

3.6. კონკურსი „მე-ომბუდსმენი 2015“ - გამარჯვებულთა დაჯილდოება

20 იანვარს საქართველოს სახალხო დამცველის პირველმა მოადგილემ პაატა ბელთაძემ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ ლია გიგაურმა, ევროკავშირის ელჩმა იანოშ ჰერმანმა და შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ არჩილ თალაკვაძემ კონკურსის „მე-ომბუდსმენი 2015“ გამარჯვებული მოსწავლეები დააჯილდოეს.



სახალხო დამცველის პირველმა მოადგილემ მოსწავლეებს გამარჯვება მიულოცა და აღნიშნა, რომ „მე - ომბუდსმენი“ მნიშვნელოვნად ამაღლებს ახალგაზრდა თაობის ცოდნას ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით.

კონკურსში „მე-ომბუდსმენი 2015“ პირველ, მეორე და მესამე ადგილებზე გასულ მოსწავლეებს ლეპტოპები და პლანშეტური კომპიუტერები გადაეცათ; ფინალში მონაწილე ყველა მოსწავლემ კი სერტიფიკატები და სამახსოვრო საჩუქრები მიიღო.

„მე-ომბუდსმენს“ სახალხო დამცველი ყოველწლიურად ატარებს 13-18 წლის მოსწავლეებისთვის და მისი ძირითად მიზანი საზოგადოებაში, კერძოდ მოზარდ თაობაში ადამიანის უფლებების დაცვის მაღალი კულტურის გავრცელებაა.

კონკურსი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერითა და ევროკავშირის პროექტის „სახალხო დამცველის აპარატის ხელშეწყობა“ დაფინანსებით გაიმართა.

3.7. სპეციალური პრევენციული ჯგუფის შემაღენლობა განახლდა

25 იანვარს საქართველოს სახალხო დამცველის ბრძანებით დამტკიცდა სპეციალური პრევენციული ჯგუფის განახლებული შემადგენლობა. 32 კაციანი ჯგუფი, რომელთა შორის 23 გასულ წელს მოქმედი სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრია, საჯარო კონკურსისა და შესარჩევი კომისიის წევრებთან გასაუბრების შედეგად შეირჩა.

სპეციალური პრევენციული ჯგუფი დაკომპლექტებულია სხვადასხვა დარგის სპეციალისტებით, რომლებიც დაკავებულ, პატიმრობაში მყოფ ან სხვაგვარად თავისუფლებამეზღუდულ პირთა, აგრეთვე ფსიქიატრიული დაწესებულებების, მოხუცთა თავშესაფრებისა და ბავშვთა სახლების ბენეფიციართა მდგომარეობას, მათდამი წამებისა და

სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისაგან ან სასჯელისაგან დაცვის მიზნით, რეგულარულად ამონმებენ დახურულ ინსტიტუციებს.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრები არიან: ეკა ბაძაღუა, ეკა ქობესაშვილი, ეკატერინე დარსანია, თამარ ავალიანი, თეა ფანჩულიძე, თეიმურაზ რეხვიაშვილი, თინათინ ამირეჯიბი, ინდირა გვარმიაანი, ირინა ფუტყარაძე, ირმა მანჯავიძე, იზოლდა შენგელია, კახა ღვინიაიანიძე, კახაბერ გოგაშვილი, ლალი ნულეისკირი, მაია არჩვაძე, მაია ცირამუა, მახარე მერებაშვილი, ნანა იდაძე, ნანა ქორიძე, ნათია გოგოლაშვილი, ნათია წერეთელი, ნაზიბროლა ჯანეზაშვილი, ნესტან ლონდარიძე, ნინო დემეტრაშვილი, ნინო ელიზბარაშვილი, ოლღა კალინა, რუსუდან მანგოშვილი, სოფია ნემსინვერიძე, ქეთევან გელაშვილი, ქეთევან ომიაძე, შორენა ლუდუშაური და ხათუნა ბაგრატიონი.

3.8. ჰოლოკოსტის მსხვერპლთა ხსოვნის საერთაშორისო დღე

27 იანვარს საქართველოს სახალხო დამცველთან არსებულმა ტოლერანტობის ცენტრმა და საერთაშორისო ფონდმა „ლეამ“ ჰოლოკოსტის მსხვერპლთა ხსოვნის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გამართეს.

შეხვედრის გახსნისას სახელმწიფო უწყებების, დიპლომატიური კორპუსის, საერთაშორისო ორგანიზაციების, სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა და ეთნიკური უმცირესობების საბჭოების წევრებმა წუთიერი დუმილით პატივი სცეს ჰოლოკოსტის მსხვერპლთ.

„ჰოლოკოსტის ხსოვნის საერთაშორისო დღის აღნიშვნა ჩვენთვის უკვე მყარ ტრადიციად იქცა, რაც ხსოვნის გარდა, შეხსენებისა და ღრმა დაფიქრების მიზანსაც ემსახურება“, – განაცხადა სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა თავის გამოსვლაში.



ღონისძიებაზე სიტყვით გამოვიდნენ საერთაშო-

რისო ფონდ ლეას ხელმძღვანელი მარინე სოლომონიშვილი, ევროკავშირის ელჩი საქართველოში იანოშ ჰერმანი, გაეროს განვითარების პროგრამის მუდმივი წარმომადგენელი ნილს სკოტი, ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი იუვალ ფუქსი პოლონეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ანდრეჟი ჩიეშკოვსკი, აშშ-ს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი იან კროუფორდ კელი. საქართველოს

პრეზიდენტის მრჩეველმა კახა კოჟორიძემ ჰოლოკოსტის ხსოვნის დღისადმი მიძღვნილი პრეზიდენტის მიმართვა წაიკითხა.

სტუმრებმა მენორაზე სანთლები დაანთეს და რაბი ავიმელეხ როზენბლატმა დალუპულთა მოსახსენიებელი ლოცვა წაიკითხეს.

ღონისძიება აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებული, საქართველოს გაეროს ასოციაციის (UNAG) „ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერის პროგრამის“ ორგანიზებით ჩატარდა.

3.9. საჯარო დებატები: უსახლკარობა – რა ხედვა აქვს სახელმწიფოს?”

29 იანვარს საქართველოს სახალხო დამცველმა მორიგი საჯარო დებატები გამართა თემაზე: „უსახლკარობა – რა ხედვა აქვს სახელმწიფოს?“. დებატებს მოდერაცია გაუწია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა, სოციოლოგმა იაგო კაჭკაჭიშვილმა.

ღონისძიების გახსნაზე სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა ისაუბრა უსახლკარობაზე, როგორც სისტემური ხასიათის პრობლემაზე, რომელიც მთელი რიგი საკითხების მოგვარებას მოითხოვს. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დაცვის დეპარტამენტის უფროსმა თათული თოდუამ ზოგადად მიმოიხილა სახელმწიფოს ვალდებულება, ისაუბრა უსახლკაროთა სტატისტიკის არარსებობასა და კანონმდებლობის ხარვეზებზე, თვითმმართველობის პასუხისმგებელ ორგანოთა არასაკმარის ღონისძიებებზე. სახალხო დამცველის აპარატი მნიშვნელოვნად მიიჩნევს სამთავრობო სამოქმედო გეგმისა და სტრატეგიის შექმნას და აქტიური საინფორმაციო კამპანიის წარმოებას.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტის უფროსის ნინო ოდიშარიას განცხადებით, სამინისტროს უკვე დასრულებული აქვს სტრატეგიაზე მუშაობა და უახლოეს პერიოდში წარმოადგენს. თუმცა, მისი თქმით, საკითხის მოგვარებას ხელისუფლების ერთიანი ძალისხმევა სჭირდება.

თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსმა გელა ჩივიაშვილმა ლოჭინის ხეობაში აშენებულ თავშესაფარზე ისაუბრა, რომელიც 240 ბენეფიციარზეა გათვლილი.

ვრცელი კვლევა წარმოადგინა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორმა, არქიტექტორ-ურბანისტმა ლადო ვარდოსანიძემ. მან უსახლკარობის ცნებით ტერმინოლოგიურ განმარტებებზე, თვითმმართველობათა როლის გააქტიურებასა და რეგიონებისთვის დელეგირების აუცილებლობაზე ისაუბრა.

ხელისუფლების, თბილისის საკრებულოსა და თემაზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლებმა აქტიურ დებატებზე განიხილეს დეფინიციის პრობლემები, სახელმწიფო ობიექტებში თვითნებურად შეჭრილთათვის მკაცრი რეპრესიული ზომების გატარება, თავშესაფრებში განსახლების ვადები, უსახლკაროთა გადამზადება-დასაქმების საკითხები, საბინაო პოლიტიკის არარსებობა და სხვა.

საქართველოს სახალხო დამცველის საჯარო დებატებს ევროკავშირის პროექტი „საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ხელშეწყობა II“ აფინანსებს.

აკარატის ცალკეული სამსახურების მიერ ჩატარებული შეხვედრები

3.10. საინფორმაციო შეხვედრა იქვემო ქართლის რაიონში „ბობონების უღლებები და აღკაული ქორწინების კრავინსია“

20—29 იანვარს სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტმა, ბრიტანეთის საელჩოს მხარდაჭერით, ქვემო ქართლის რეგიონში ოთხი საინფორმაციო შეხვედრა ჩაატარა ადრეულ ასაკში ქორწინების საკითხებზე.



სკოლის მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან ერთად განიხილეს ადგილობრივ დონეზე არსებული ხელშემწყობი ფაქტორები ადრეულ ასაკში ქორწინებისათვის და პრობლემის მოგვარების გზები. ისაუბრეს იძულებით ქორწინების ფაქტებზეც. ისაუბრეს ამ საკითხის მიმართ სახელმწიფოს მუდმივი კონტროლის აუცილებლობაზე.

3.11. შეხვედრა სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან

28 იანვარს სახალხო დამცველის მრჩეველმა მედეა ტურაშვილმა სამუშაო შეხვედრა გამართა სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან კონფლიქტებით დაზარალებული მოსახლეობის უფლებების შესახებ. შეხვედრის მიზანი იყო ომბუდსმენის საპარლამენტო ანგარიშის მომზადების პროცესში არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართვა და მათი მოსაზრებებისა და რეკომენდაციების განხილვა.



შეხვედრის მონაწილეებმა 2015 წელს კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის უფლებრივ მდგომარეობაზე, მათ წინაშე მდგარ სხვადასხვა სახის პრობლემებზე ისაუბრეს და შესაბამისი რეკომენდაციებიც წარმოადგინეს.

4. წარმატებული საქმეები

4.1. მსჯავრდებულის საავადმყოფო პრობლემა გადაიჭრა

მსჯავრდებულმა, რომელიც კბილების უქონლობის გამო საკვების სრულფასოვნად მიღებას ვერ ახერხებდა, დახმარებისათვის სახალხო დამცველს მიმართა. საქართველოს სახალხო დამცველის წერილობითი მიმართვების საფუძველზე, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტმა **6 იანვარს** წერილობით გვაცნობა, რომ მსჯავრდებულ ი.მ.-ს კბილების პროთეზირება ჩაუტარდა.

4.2. სოციალურად დაუსველ მოხუცს სასხოვრებელი გამოუყვას

14 იანვარს ცნობილი გახდა, რომ საქართველოს სახალხო დამცველის არაერთი მიმართვის შედეგად, გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობამ სოციალურად დაუსველი, მოხუცებული ნაქირავებ ბინაში გადაიყვანა და ქირით უზრუნველყო, ასევე აღუდგა დროებით შეჩერებული საარსებო შემწეობა.

გურჯაანის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მ.ბ.-ს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და მისი საცხოვრებლის პრობლემები კახეთის რეგიონში საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენელმა შეისწავლა.

5. ღირსშესანიშნავი თარიღები

5.1. სახალხო დამცველის საშობაო მილოცვა სომეხთა სამოციქულო ეკლესიისადმი

6 იანვარს საქართველოს სახალხო დამცველმა სომეხთა წმინდა სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის მრევლს ქრისტიანობისა და ნათლისღების დღესასწაულები მიულოცა და მათ ოჯახებს მშვიდობა, კეთილდღეობა და ჯანმრთელობა უსურვა. თავის მილოცვაში უჩა ნანუაშვილმა სომეხთა და ქართველთა შორის საუკუნეების მანძილზე არსებულ კეთილმეზობლურ დამოკიდებულებაზეც ისაუბრა.

5.2. სახალხო დამცველის საშობაო მილოცვა საქართველოს პარტლადილდებელი ეკლესიის მრევლს

7 იანვარს საქართველოს სახალხო დამცველმა ყველა მართლმადიდებელს განსაკუთრებული სიხარულისა და ბედნიერების გამომხატველი დღე – ქრისტიანობა მიულოცა და მშვიდობა, წარმატება და კეთილდღეობა უსურვა.

5.3. სახალხო დამცველმა სომეხთა სამოციქულო ეკლესიას სურბ სარგისის დღესასწაული მიულოცა

23 იანვარს საქართველოს სახალხო დამცველმა სომეხ ხალხს და სომეხთა წმინდა სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის მრევლს სურბ სარგისის ხსენების დღე მიულოცა და მათ ოჯახებს მხნეობა და კეთილდღეობა უსურვა.

6. საერთაშორისო სიახლეები ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით

6.1. ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისიის დასკვნა

ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისიის ნილ მუჟნიეკის **12 იანვარს** გამოქვეყნებულ დასკვნაში სასამართლო რეფორმის, ტოლერანტობისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობის კუთხით საქართველოში არსებული მდგომარეობაა შეფასებული.

კომისარი მიესალმება სასამართლო სისტემაში განხორციელებული რეფორმების ისეთ პოზიტიურ შედეგებს, როგორცაა პროკურატურის გავლენის შემცირება, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მუშაობის გამჭვირვალობის გაზრდა და გაუმჯობესებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა, თუმცა მიაჩნია, რომ ხან-

გრძლივად არსებული სისტემური პრობლემები კვლავ სერიოზულ გამოწვევას წარმოადგეს, მათ შორის, სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობისა და ეფექტური ფუნქციონირების დაცვა.

დასკვნაში ყურადღება გამახვილებულია მოსამართლეთა არჩევის, დანიშვნისა და ჩანაცვლების კუთხით არსებულ ხარვეზებზე და მაგალითად მოყვანილია იუსტიციის საბჭოს მიერ შესაბამისი წესისა და კრიტერიუმების არარსებობის პირობებში, თბილისის სააპელაციო სასამართლოში მოსამართლეთა კონკურის გარეშე გადაყვანის/დანიშნულების შესახებ გადაწყვეტილება. კომისარი აღნიშნავს, რომ „საჭიროა ცვლილებები, რათა მოსამართლეთა არჩევა, დანიშვნა და ჩანაცვლება ხდებოდეს გამჭვირვალედ, დამსახურების გათვალისწინებით და ცხადად ჩამოყალიბებული კრიტერიუმების შესაბამისად“. ამასთან, კომისარი წერს, რომ სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობას ჩრდილს აყენებს საქმეთა განაწილებასთან დაკავშირებული ეჭვები – განსაკუთრებით, საყოველთაო ინტერესის საქმეებზე – რომლებსაც ის მოსამართლეები განიხილავენ, აღმასრულებელი ხელისუფლებისადმი ერთგულებად რომ აღიქმებიან“.

კომისარი არასათანადო მოპყრობის სავარაუდო ფაქტებსა და დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნის აუცილებლობაზეც საუბრობს და აცხადებს, რომ „საქართველოს ხელისუფლებამ უნდა დაადგინოს ფაქტები და დასაჯოს პასუხისმგებელი პირები. ხელისუფლებამ უნდა განიხილოს დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნის საკითხი, რომელიც იმუშავებს სამართალდამცველი ორგანოებისა და პენიტენციურ დაწესებულებათა თანამშრომლების მხრიდან შესაძლო დარღვევებზე. ასეთი მექანიზმი შეიძლება შეიქმნას სახალხო დამცველის და სხვა მხარეების, მაგალითად ევროპის საბჭოს რეკომენდაციების გათვალისწინებით“.

ტოლერანტობისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობის საკითხებზე მსჯელობისას, კომისარი საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდებს, უფრო ქმედითად გამოიყენოს არსებული ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა და მექანიზმები; დააჩქაროს პარლამენტში უკვე შესული იმ საკანონმდებლო ცვლილებების მიღება, რომლებიც სახალხო დამცველს უფრო ფართო უფლებამოსილებით აღჭურავს დისკრიმინაციასთან – მათ შორის, კერძო სექტორში დისკრიმინაციასთან ბრძოლაში.

დასკვნა ეფუძნება ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისიის ბოლო ვიზიტს საქართველოში, როცა შეფასდა მისივე 2014 წლის ანგარიშში მოცემული რეკომენდაციების იმპლემენტაცია.

6.2. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება

12 იანვარს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე „ბარბულემკუ რუმინეთის წინააღმდეგ“ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის (პირადი და ოჯახური ცხოვრების, საცხოვრებლისა და მიმონერის პატივისცემის უფლება) დარღვევა არ დაადგინა. საქმე ეხება ერთ-ერთი კერძო კომპანიის მიერ რუმინეთის მოქალაქე ბარბულემკუს, სამუშაო დროს სამსახურებრივი მიზნებისთვის შექმნილი „Yahoo Messenger“-ის პირადი მიმონერისთვის გამოყენების გამო სამსახურიდან გათავისუფლებას.

საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლის მიერ წარმოებული კომუნიკაციის შინაარსი ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებების განმსაზღვრელი ფაქტორი არ ყოფილა. კერძოდ, სასამართლო აღნიშნავს, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა განმცხადებლის საუბრების სტენოგრამა გამოიყენეს მხოლოდ იმ მიზნით, რომ დაესაბუთებინათ სამსახურებრივი მიზნებისთვის შექმნილი „Yahoo Messenger“-ის სამუშაო დროს პირადი მიმონერისთვის გამოყენების ფაქტი. „ეროვნულმა სასამართლოებმა ბარბულემკუსა და კომპანიის დავის განხილვისას მითითება არ გააკეთეს არც პირადი კომუნიკაციის შინაარსზე და არც იმ პირთა იდენტიფიცირება მოახდინეს, ვისთანაც ბარბულემკუს ჰქონდა კომუნიკაცია“. გარდა ამისა, სასამართლომ მიიჩნია, რომ განმცხადებელმა ვერ დაასაბუთა, თუ რატომ გამოიყენა „Yahoo Messenger“-ი პირადი მიზნებისთვის.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით, რუმინეთის სახელმწიფომ დაიცვა სამართლიანი ბალანსი პირის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობასა და დამსაქმებლის ინტერესებს შორის, რადგან დამსაქმებელმა შეამოწმა კომუნიკაცია მხოლოდ „Yahoo Messenger“-ზე და არა დასაქმებულის კომპიუტერში არსებული სხვა დოკუმენტები და მონაცემები. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ დამსაქმებელი მოქმედებდა უფლებამოსილების ფარგლებში და თანამშრომლის მონიტორინგი ლიმიტირებული და პროპორციული იყო.

6.3. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორი აგვისტოს ომის მოვლენების დროს საქართველოში ჩადენილ დანაშაულებს ბამოიძიებს

27 იანვარს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლომ პროკურორ ფატუ ბენსუდას თანხმობა მისცა დაიწყო საქართველოში 2008 წლის აგვისტოს ომის დროს, ომის დაწყებამდე და მის შემდეგ ჩადენილი სამხედრო დანაშაულების გამოძიება. სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, მოსამართლეები ხედავენ საფუძველს იმის სავარაუდოდ, რომ საქართველოში, 2008 წლის 1 ივლისიდან 10 ოქტომბრამდე, „კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაულები“ იქნა ჩადენილი. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მოსამართლეების განცხადებით, სავარაუდოდ დანაშაულებს შორის არის „მკვლელობა, მოსახლეობის იძულებით გადასახლება და დევნა და სამხედრო დანაშაულები, როგორც არის თავდასხმები სამოქალაქო პირებზე, განზრახ მკვლელობა და თავდასხმების განზრახ მიმართვა მშვიდობის დამცველთა წინააღმდეგ“.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს **პროკურორმა 2015 წლის 13 ოქტომბერს მიმართა სასამართლოს** წინასწარი წარმოების პირველ პალატას და მოითხოვა ნებართვა საქართველოში, 2008 წლის აგვისტოს შეიარაღებული კონფლიქტის დროს სავარაუდოდ ჩადენილი სამხედრო და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების გამოსაძიებლად. წინასწარი გამოძიება პროკურორის ოფისმა 2008 წლის 14 აგვისტოს დაიწყო.

7. სახალხო დამცველის აპარატის აშბები

7.1. ახალი თანამშრომლები

იანვრიდან სახალხო დამცველის აპარატის საერთაშორისო ურთიერთობებისა და კომუნიკაციების დეპარტამენტში პროექტების განხორციელების საკითხებში მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე მუშაობა დაიწყო ახალმა თანამშრომელმა – ქეთევან როინიშვილმა; ასევე ახალი თანამშრომელი გვყავს ახალქალაქის ოფისში - სალომე ყულჯანიშვილი.


7.2. ვაკანსიები

იანვარში სახალხო დამცველის აპარატში გამოცხადდა ვაკანსიები პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტში უფროსი სამართლებრივი ექსპერტის პოზიციაზე; ასევე რეგიონულ დეპარტამენტში აჭარის, ზემო სვანეთის, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამართლებლოების უფროსების თანამდებობებზე.

7.3. მომართვიანობის სტატისტიკა


იანვრის თვეში სახალხო დამცველის აპარატში შემოვიდა 527 განცხადება. დასაშვებობის გავლის შემდეგ 459 განცხადება სამსახურების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა:

- სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დაცვის დეპარტამენტი — 34
- სს მართლმსაჯულების დეპარტამენტი — 220
- რეგიონული სამმართველო — 154
- ბავშვის უფლებათა დაცვის ცენტრი — 16
- გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი — 8
- შშმ პირთა უფლებების დაცვის დეპარტამენტი — 15
- ანალიტიკური დეპარტამენტი — 5
- თანასწორობის დეპარტამენტი — 4
- თავდაცვის სფეროში ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი — 3



იანვრის თვეში შემოსული განცხადებები თემატურად შემდეგნაირად გადანაწილდა:

- პატიმართა უფლებები — 243
- სამოქალაქო უფლებები — 8
- სოციალური უფლებები — 47
- მოხელის მხრიდან უფლებამოსილების გადამეტება — 4
- სისხლის სამართლის საქმე — 86
- რელიგიური საკითხები — 1
- ბავშვის უფლებები — 16
- გენდერული თანასწორობის საკითხები — 7
- შშმ პირთა უფლებები — 12
- საკანონმდებლო საკითხი — 3
- დისკრიმინაცია — 3
- კონფლიქტური რეგიონებიდან შემოსული განცხადებები — 1
- დამატებითი განცხადება და სხვა — 84



კონტაქტი

თბილისი:

ნინო რამიშვილის 6, თბილისი 0179
 ტელ.: +99532 2234499 / 2913814 / 2913815 / 2913841 / 2913842 / 2913843 / 2913875 / 2913876 / 2913877
 ფაქსი: +99532 913841
 ელ-ფოსტა: info@ombudsman.ge

ბათუმი:

მანიაშვილის ქ. 9
 მობ.: 577 50 52 31
 ტელ.: 0422 27 05 44

ზუზული:

კოსტავას 58
 მობ.: 577 50 52 34
 ტელ.: 0415 22 36 11

ახალქალაქი:

ჭავჭავაძის ქ. 4
 მობ.: 577 12 27 70 ;
 577 12 27 71
 ტელ.: 0362 22 32 83

თილავი:

ჩოლოყაშვილის ქ.36
 მობ.: 591 883538
 ტელ.: 0350 27 99 27

ქუთაისი:

რუსთაველის ქ. 18
 მობ.: 577 55 33 81
 ტელ.: 0431 25 33 50

ბორი:

სამების ქ. N1
 მობ.: 577 78 27 42
 ტელ.: 0370 27 05 49

მარნეული:

რუსთაველის ქ. 51
 ტელ.: 0357 22 19 70

ოზურგათი:

დავით აღმაშენებლის ქ. №9
 ტელ.: 0496 27 30 53
 მობ.: 593 44 44 27

სხელი ხაზი – 1481

რედაქტორი: თეონა გოგოლაშვილი
სარედაქციო კოლეჯი:
თაგარ ხილაშვილი,
ნიკო თათულაშვილი